დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:
დავით კუპატაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ალექსანდრე კეკენაძე დარგის ექსპრტი - (კომპიუტერული ქსეილი და სისტემები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **232386272**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის MES 9 25 0000774612 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - დავით კუპატაძე და ალექსანდრე კეკენაძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლაში (მის:დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N59) 2025 წლის 5 ივლისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება არ ქმნის ხელშემშლელ გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისთვის. პროფესიული და ზოგადი განათლების პროცესები ისეა ორგანიზებული, რომ ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები ეფექტიანად ნაწილდება, რაც უზრუნველყოფს ორივე მიმართულების პარალელურ და შეუფერხებელ განხორციელებას და ქმნის მრავალფეროვან, ეფექტიანად მართვად საგანმანათლებლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მიმართულებით; პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება და შესაბამისი პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 4.1.1.2. - უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის, შრომის შინაგანაწესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებული ვერსიის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.

ინდიკატორი 2.2.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლების მოძიება და პროგრამაში ჩართვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).

ინდიკატორი 2.2.1.3 - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის ნოემბერი) უზრუნველყოს ადამიანური რესურსის გადამზადება.

ინდიკატორი 2.2.1.5. - დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა დარგობრივი საგანმანათლებლო რესურსებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.1. - სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების სახელმწიფო პრიორიტეტებს, თუმცა მისიის ფორმულირებას ახასიათებს სიჭარბე, ტერმინოლოგიური დატვირთულობა და რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ზღუდავს მის იოლ აღქმას. შესაბამისად სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, ის იყოს უფრო მარტივად გასაგები, მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რათა ადვილად აღქმადი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.8. - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები, და არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს **2021** წლის **3** თებერვლის №**55016** ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი გარემოებები და მიგნებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო **სკოლის მისიაა:** შექმნას ისეთი უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის ეროვნული ინტერესების, შესაძლებლობების განვითარებაზე, თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და ცნობიერების მიცემაზე, სიახლის მაძიებელ განათლებულ პიროვნებებად აღზრდაზე, კულტურულ ფასეულობათა და ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებაზე, ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად ჯანსაღი, ღირსეული, ტრადიციების დამცველი მოზარდის/პროფესიული სტუდენტის ფორმირებასა და მისთვის სწორი გზის არჩევასა და პროფესიულ ორიენტაციაში დახმარებასა და შრომის ბაზარზე კონკურენციის გაზრდაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მისია, შინაარსობრივად, მიმართულია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული მიმართულების მხარდასაჭერად და, შესაბამისად, ეხმიანება განათლების შესახებ კანონითა და სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნებს. ტექსტში ხაზგასმულია უსაფრთხო და მზრუნველ გარემოზე, ეროვნულ ღირებულებებზე, პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტაცია, რაც სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების დანიშნულებას. პარალელურად, პროფესიული განათლების ჭრილში მისია მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში — რაც ამ სექტორის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს.

საერთო ჯამში, სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების სახელმწიფო პრიორიტეტებს, თუმცა მისიის ფორმულირებას ახასიათებს სიჭარბე, ტერმინოლოგიური დატვირთულობა და რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ზღუდავს მის იოლ აღქმას. შესაბამისად სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, ის იყოს უფრო მარტივად გასაგები, მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რათა ადვილად აღქმადი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორის (1.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მისიის ტექსტში იკვეთება დაწესებულების პროფილი.** ჩანს, რომ სკოლა ფუნქციონირებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პარალელურად სთავაზობს დაინტერესებულ პირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიის ფორმულირებაში ხაზგასმულია ორივე მიმართულება — ზოგადი და პროფესიული განათლება, რაც აშკარად მიანიშნებს მის შერეული ტიპის პროფილზე.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო **სკოლის ხედვაა,** იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, კერძოდ: 2030 წლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზღვრული რაოდენობა მიაღწევს სკოლაზე გათვლილ მოსწავლეთა რაოდენობას; სკოლა გახდება პროფესიული განათლების ხელშემწყობი; შენარჩუნებული იქნება სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში, კონკურსებსა და პროექტებში, სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებული მონაწილეობის ტრადიცია.

ამ მიზნით სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

ა) სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პარალელურად არაფორმალური განათლების მეთოდების შემუშავება;

ბ} მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება, სკოლაში შექმნილი შესაბამისი ინკლუზიური, ინდივიდუალური მიდგომების კიდევ უფრო მეტად დახვეწა;

გ) სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტებთან (მაგ:თსუ, კავკასიის უნივერსიტეტი...) გაფორმებული მემორანდუმისა და კოლეჯებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან (მაგ: წინამძღვრიანთკარის მრავალდარგოვანი კოლეჯის თიანეთის ფილიალი) თანამშრომლობის ამოქმედებით გადამზადების სხვადასხვა პროფესიული კურსის გავლა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის გაძლიერების მიზნით, სპორტული აქტივობების გააქტიურება;
ე) სკოლის ყველა საფეხურებზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება;
ვ) მოსწავლისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც თითოეულ მათგანს მისცემს საშუალებას უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;
ზ) თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;
თ) საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.

სკოლის ღირებულებებია:

- სიახლეების მიმართ ღიაობა
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა
- სამართლიანობა
- გუნდურობა
- ერთგულება
- გამჭვირვალობა
- უწყვეტი განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით

აღნიშნული ხედვა და ღირებულებები ეყრდნობა სკოლის მისიის პრინციპებს და წარმოადგენს სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების მულტიფუნქციურ როლს ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროში. ისინი აშკარად ხაზს უსვამენ ინკლუზიურ, ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების უნარების სისტემატურ განვითარებას და მათი წარმატებულ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. აღნიშნული კომპონენტები არამხოლოდ განსაზღვრავს დაწესებულების განსაკუთრებულ იდენტობას, არამედ უზრუნველყოფს მის გამორჩეულ პოზიციონირებას ეროვნული განათლების სისტემის კონტექსტში.

ინდიკატორის (1.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, რაც დადასტურდა წამოდგენილი სკოლის ფილოსოფიის შემმუშავებელი ჯგუფის შეხვედრის ოქმით. მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ გვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- https://skolebi.emis.ge/schools/1382
- სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - მისია, ხედვა, ღირებულებების ნაწილი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები ცვლილებასთან დაკავშირებით;
- სკოლის ხედვა, მისიისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის შეხვედრის ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილი სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებები და მათთვის განსაზღვრული სამართლებრივი გარანტიები სრულად უზრუნველყოფილი იქნება. რეგულაციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება დეტალურად განსაზღვრავს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებს, აპლიკანტთა შერჩევის, ტესტირებისა და ადაპტაციის მექანიზმებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის წესებსა და მათ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ზომებს. დოკუმენტით განსაზღვრულია შესაბამისი კომისიის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების პრინციპები, ასევე წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთან (მათ შორის არასრულწლოვანთან) გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების დაცვასა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე მიმართული მექანიზმების ეფექტიანობას.

დებულება ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია სამართლებრივ ნორმებთან. შიდა და გარე მობილობის პროცესები თანხვედრაშია 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით განსაზღვრულ წესებთან. გარდა ამისა, დებულება არეგულირებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების ეტაპებსა და ვადებს, რაც სრულად შეესაბამება 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებას. დოკუმენტში მოცემულია პროფესიული სტუდენტების მიმართ დისციპლინური წარმოების პროცედურები, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებულია გადაცდომის შემთხვევის შესაბამისობა და ზომიერების პრინციპი. ასევე განსაზღვრულია პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურები.

დასკვნის სახით - სკოლის მიერ შემუშავებული შიდა დებულება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით სრულად ასახავს კანონით დადგენილ მოთხოვნებსა და სტანდარტებს. დოკუმენტში მოცემული რეგულაციები ქმნის სამართლებრივად გამართულ საფუძველს სტუდენტთა უფლებების დაცვის, მათზე ორიენტირებული მომსახურების და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფისთვის.

ინდიკატორის (3.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება მოიცავს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისა და ადაპტაციის მექანიზმებს, რაც მათ სწავლის პროცესში ეფექტიანად ჩართვისა და გარემოსთან შეგუების წინაპირობას ქმნის. დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის დაწყებამდე საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა ორგანიზებასაც პროფესიული განათლების კოორდინატორი ახორციელებს. აღნიშნული შეხვედრები მიზანმიმართულია სტუდენტების სკოლაში არსებული სერვისებისა და თანამშრომლობის ფორმების გაცნობაზე. გარდა ამისა, კოორდინატორი ამზადებს ინფორმაციულ ბუკლეტს, რომელიც სტრუქტურირებულად ასახავს სკოლის სერვისებსა და მათ განმახორციელებელ პირებს. ბუკლეტის გადაცემა ადრეულ ეტაპზე ხელს უწყობს სტუდენტის სწრაფ ადაპტაციას. პროფესიული სტუდენტის უფლებების გაცნობა ფორმალიზებულია ხელშეკრულების ფორმით, რაც reinforces სამართლებრივი თანასწორობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. დებულება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი როგორც ონლაინ, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას. **წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს,** რომ მასში ჩამოყალიბებული ინფორმირების და ადაპტაციის მექანიზმები ასახავს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების პრაქტიკას და უზრუნველყოფს თანასწორი, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნებსა და პროფესიულ განათლებაში სტუდენტზე ორიენტირებული პოლიტიკის პრინციპებს.

ინდიკატორის (3.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და მათ უფლებებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმები. შეფასების სისტემის გაცნობა ხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მათ შორის განხილულია შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სტუდენტთა სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას.

დებულება ასევე ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებთან რეგულარული კომუნიკაციის პრაქტიკას - ერთობლივი შეხვედრები ჩატარდება თვეში მინიმუმ ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი (რიგგარეშე) შეხვედრები უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას სტუდენტების საჭიროებებზე. ეს ადასტურებს პროცესების მოქნილობას და უწყვეტ კომუნიკაციაზე ორიენტირებულობას. განსაზღვრულია, რომ სტუდენტებს უფლება აქვთ კონსულტაციები მიიღონ როგორც პროგრამის ხელმძღვანელისგან, ისე სხვა პასუხისმგებელი პირებისგან. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტების კონსულტირება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში - შედეგების გადახედვის შესაძლებლობა, რაც მიანიშნებს მასწავლებლის როლზე სტუდენტზე ორიენტირებული პროცესის მხარდაჭერაში.

დადგენილი პროცედურები სრულად შეესაბამება სტუდენტის ინფორმირებულობისა და ჩართულობის ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მიდგომებს. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ღია კომუნიკაცია, რეგულარული შეხვედრები და კონსულტაციების ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის გამჭვირვალობას, პროცესებში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის შედეგების რეალური გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

ინდიკატორის (3.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით, რაც უზრუნველყოფს განათლების მიღების პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მკაფიო ფორმულირებას. დებულება ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების დადებას, ხოლო არასრულწლოვანი, შშმ ან სსსმ პირის შემთხვევაში — მათ კანონიერ წარმომადგენელთან. ხელშეკრულება მოიცავს ყველა არსებით კომპონენტს — პროგრამის დასახელებას, უფლებებსა და ვალდებულებებს, მოქმედების ვადას, შეწყვეტის პირობებსა და სხვა სამართლებრივ დებულებებს. ხელმოწერის პროცედურა სტრუქტურირებულია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შიდა ნორმატიულ ჩარჩოს. დოკუმენტის შინაარსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და ინტერესების დაცულობის გარანტიას.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობის მკაფიო ჩარჩოს, რაც წარმოადგენს სწავლის პროცესის სამართლებრივი გამჭვირვალობისა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის მტკიცებულებას. პროცესი სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და დადებითად მოქმედებს საგანმანათლებლო გარემოს სტაბილურობაზე.

ინდიკატორის (3.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი დებულებით განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი სრულად შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. პროცესი უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებების ინდივიდუალურ გათვალისწინებას, სამართლებრივი თანასწორობის დაცვას და სწავლების გამჭვირვალობას. კერძოდ:

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების სწავლების პროცესში. დებულებაში დეტალურადაა გაწერილი გეგმის შემუშავების ეტაპები, პროცესში ჩართული პირების შემადგენლობა და პროფესიული სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების აუცილებლობა.მექანიზმი ხაზგასმით მოითხოვს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებაში, რაც ასახავს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპს. შეთანხმების შედეგად გეგმა იდენტიფიცირდება როგორც ოფიციალური დოკუმენტი და დამტკიცდება შესაბამისი სამართლებრივი წესით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ვერ შედგება შეთანხმება, პროფესიულ სტუდენტს უნარჩუნდება მობილობის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ალტერნატიულ გაგრძელებას კანონის ფარგლებში.

ინდიკატორის (3.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (13.06.25წლის N2-15 ბრძანება)
- 2025 წლის 13.06.25წლის N2-19 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის უფლებები;
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში)

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. რამდენადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით №101/ნ, ცვლილება შევიდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ოქტომბრის №448 ბრძანებაში და სკოლა უფლებამოსილი გახდა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა“ (მუხლი 21 სკოლის მიერ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება), სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსეილი და სისტემები“. ამ მიზნით, აღნიშნული ბრძანების თანახმად და სკოლის წესდების შესაბამისად დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში (პედაგოგიურ საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინურ კომიტეტი). პროფესიული განათლების მიმართულებით თანამდებობები სრულად არ იყო დამატებული, თუმცა, შემუშავდა პროფესიული განათლების ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ გაიწერა: პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და შეირჩა შესაბამისი კადრები.

სკოლამ შეიმუშავა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით იგეგმება ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა, ასევე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მიმართულებით, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება და შესაბამისი პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი (4.1.1.1.) შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პოზიციის ფუნქციებსა და მოთხოვნებს. პოზიციებს შორის ფუნქციები არ დუბლირდება, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების გამჭვირვალობას და ეფექტურობას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადყოფს, რომ არსებული ფუნქციური განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების წარმართვას. თუმცა, არსებული სტრუქტურული ერთეულები ნაწილობრივ ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების სრულფასოვან განხორციელებას. შესაბამისად, დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება (ბოლო ვადა - 2026 წლის მარტი), შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით (ბოლო ვადა - 2026 წლის იანვარი). გეგმით განსაზღვრულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და შესრულების ვადები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის, შრომის შინაგანაწესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებული ვერსიის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში .

ინდიკატორი (4.1.1.2.) შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

3. **ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის** ფუნქცია განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტში და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას. დამატებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-26 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, პასუხისმგებელი პირი ახორციელებს დაწესებულების პროფესიული მიმართულების საქმიანობისა და სტანდარტებთან შესაბამისობის სისტემატურ შეფასებას, ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებასა და ხარისხის განვითარების პროცესების მუდმივ გაძლიერებაზე.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (16.06.25 N2-22 ბრძანებით);
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (16.06.25 წლის N2-16 ბრძანებით);
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (16.06.25 N2-26 ბრძანებით).

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-23 ბრძანებით. მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დაწესებულებას დარეგულირებული აქვს ისეთი საკითხები როგორიცაა: მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულება ვაკანსიას გასათავსებლად იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობას. ეს შეიძლება იყოს: დასაქმების პორტალი - hr.gov.ge, ოფიციალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფეისბუქ გვერდი, ასევე ინფორმაციის მიწოდება ხდება დასაქმების სააგენტოსთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორის (4.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პროცესი სრულად პასუხობს საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საშუალებით დაცულია შერჩევის ობიექტურობა და გამჭვირვალობა, რაც ხელს უწყობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვას. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულება შეუძლია დასაქმება უზრუნველყოს როგორც არსებულ საკადრო რესურსებში არსებული კანდიდატებისგან, ისე ღია კონკურსის გამოცხადებით. პერსონალის შერჩევა შეიძლება განხორციელდეს კონკურსის გზით ან ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე. დასაქმება ხდება დირექტორის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით.
ამ პროცესით დაწესებულება აძლიერებს პერსონალის ხარისხს და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და ეფექტურ მართვას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის ამაღლებისთვის.

ინდიკატორის (4.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის არსებული ადმინისტრაციული პერსონალი დაკომპლექტებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დოკუმენტის შესაბამისად. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, მათ შორის მინიმალური განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება (შესაბამის შემთხვევებში), ენის ცოდნა და პოზიციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ცოდნა. აღნიშნული მოთხოვნები სრულად შეესაბამება კონკრეტულ პოზიციებსა და მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ყველა ადმინისტრაციულ არსებულ თანამშრომელს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც დაცულია მათი პირადი საქმეებში.

ინდიკატორის (4.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-17 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.
პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები.
დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (4.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შინაგანაწეს (N2-34 16.06.25)
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (16.06.25 N2-23 ბრძანებით)

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის N 2-14 ბრძანება და 16.06.2025წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N MES 6 25 0000002-14 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესი. დირექტორის ბრძანებით იქმნება პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი. დაწესებულების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ წარდგენილი სახით დამტკიცების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ განვითარების გეგმას, რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის 2023-2030 წწ მიხედვით 2030 წლისთვის სკოლა გახდება პროფესიული განათლების ხელშემწყობი.ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

ინდიკატორი 2.1.1.1. ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სრული ზოგადი განათლება, თუმცა პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დაძლევა. პროგრამის განხორციელების ვადა ორი წელია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2. ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-14 ბრძანებით დამტკიცებული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრით“. აღნიშნული დოკუმენტით პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალსიწინებს: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობას; A სასწავლოგარემოს/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცის გამტარუნარიანობას; B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას და ასევე, სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. ფასდება როგორც შესაბამისი.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სასწავლო რესურსი, რომელიც მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად განსაზღვრული თემატიკის შესაბამისია და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო რესურსი დაწესებულებაში წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სახით. დაწესებულების სამოქმედო გეგმებით დაგეგმილია, პროგრამისთვის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება.

ინდიკატორი 2.1.1.4. ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5. ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის - 16.06.2025წ N2-14 ბრძანებით. რომელიც საფუძვლად უდევს ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების” მე-2[1] მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტი.

ინდიკატორი 2.1.1.6. ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7. ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“ საფუძველზე და მისი ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, დასაქმების შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

<u>პროგრამაში ქართული ენის მოდულები წარმოდგენილია ძველი რედაქციით (დანართი №28 ქართული ენა A2 სარეგისტრაციო ნომერი: 0110001 გამოქვეყნების თარიღი: 07.03.2016, 02.11.2017; დანართი №29 ქართული ენა B1 სარეგისტრაციო ნომერი: 0110002 გამოქვეყნების თარიღი: 07.03.2016, 02.11.2017). შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულები ჩანაცვლდეს განახლებული მოდულებით - **2021** წლის **3** თებერვლის №**55016** ბრძანების ცვლილებების შესაბამისი ვერსიებით.</u>

განმავითარებელი რეკომენდაცია: განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები, და არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს <u>**2021** წლის **3** თებერვლის №**55016** ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.</u>

ინდიკატორი 2.1.1.8. ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):.

- დაწესებულების მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, პროფესიული პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, დაწესებულების აუთვისებელ ფართში გამოყოფილ ერთ საკლასო ოთახში, სადაც მოეწყობა A და B ტიპის სასწავლო გარემო, ექსპერტებმა დაათვალიერეს აღნიშნული ფართი, თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი გარკვეული მიზეზების გამო არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, **დაწესებულების დირექტორის 16.06.2025წ N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და შესრულების თარიღები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით მატერიალური რესურსის შესყიდვა დასრულდება არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.**

ინდიკატორი 2.2.1.1. ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“ გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 3 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელია. სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას. დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება კვირეულ 40 საათს. ექსპერთთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ასევე წარმოდგენილია სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დოკუმენტით დაგეგმილია დამატებით განმახორციელებელი პირების მოძიება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით და არსებული ადამიანური რესურსისთვის დამატებით ტრენინგების ჩატარება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსეილი და სისტემები“ შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლების მოძიება და პროგრამაში ჩართვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები მეტწილად შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. **თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულია ადამიანური რესურსის განვითარება (პროფესიული განათლების მიმართულებით გადამზადება, მათ შორის სწავლების და შეფასების ნაწილში). შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის ნოემბერი) უზრუნველყოს ადამიანური რესურსის გადამზადება.**

ინდიკატორი 2.2.1.3. ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. პირადი საქმის შესწავლით და გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით.

ინდიკატორი 2.2.1.4. ფასდება როგორც შესაბამისი.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური სახით, ხოლო პროფესიული მოდულებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსი მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. **შესაბამისად დირექტორის 16.06.2025 N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ მისი გაუმჯობესება იგეგმება 2025 წლის ნოემბრამდე. გამომდინარე აქედან სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა დარგობრივი საგანმანათლებლო რესურსებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაში.**

ინდიკატორი 2.2.1.5. ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

6. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 29-ე მუხლში აღწერილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლის მიხედვით შშმ ან/და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი: სპეციალისტის მოწვევა; საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა;დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული მხარდაჭერა და სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით. ასევე საჭიროების შემთხვევაში დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდიკატორი 2.2.1.6. ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“ დაწესებულებას შევსებული აქვს ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების ნაწილი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისაგან, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: განმახორციელებლების ანაზღაურებას, მასალებისა და ნედლეულის ხარჯს, აღჭურვილობის ამორტიზაციისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. რენტაბელობის ზღვარია 7 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.2.1.7. ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- შესაბამისობის გეგმა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 16.06.2025წ N2-20 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განცორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას შემუშავებული კითხვარების (სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა; მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი; მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ; კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი; ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი) საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.1.1. ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელბის დებულების“ და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განხორციელდება შეხვედრები, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.2. ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკურობა. სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე.

ინდიკატორი 2.4.1.1. ფასდება როგორც შესაბამისი.

2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. ექსპერტთა ჯგუფს გასაუბრებისას განემარტთ, რომ დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. ასევე, გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას.

ინდიკატორი 2.4.1.2. ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები.

ინდიკატორი 2.4.1.3. ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ IX თავში აღწერილია პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების სხვადასხვა შემთხვევები, რომლის მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული ს ტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.

ინდიკატორი 2.4.1.4. ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“ განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე.

ინდიკატორი 2.4.1.5. ფასდება როგორც შესაბამისი.

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სიტემები“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6. ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება
- გასაუბრების შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ, შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. მარეგულირებელი წესი მოიცავს შეფასების სისტემას - შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს , შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურებს, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და წესს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს

ინდიკატორი 2.4.2.1. ფასდება როგორც შესაბამისი.

2. დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში“ გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანზიმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც ეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში.

ინდიკატორი 2.4.2.2. ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესში“ გაწერილია აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურები მექანიზმი. კერძოდ შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით.

ინდიკატორი 2.4.2.3. ფასდება როგორც შესაბამისი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები.

ინდიკატორი 2.4.2.4. ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: